პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 241 (6296)

10 დეკემბერი კვირა.

1978 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და კროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского, Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მ. თათარაძე — მეორე ადგილზე

იაპონიიდან დაბრუნდა სსრ კავშირის ნაკრები სპორტულ ტანვარჯიშში, რომელიც ქალაქ ნაგოიაში მონაწილეობდა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში „ტუნიტას“ თასზე.

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით ამ შეჯიბრების შესახებ, რომელშიც 11 ქვეყნის 33 ტანმოვარჯიშე გამოდიოდა.

ქალებში უძლიერესი იყო ვორონეჟელი ელენე დავიდოვა (38,90 ქულა), ვაჟთა შორის — იაპონელი ი. კიტაგავა (57,75). როსტოველმა სერგეი ხიჟნიაკოვმა მეორე შედეგი აჩვენა (57,65), ხოლო ლენინგრადელმა გენადი კრისინმა — მეოთხე (55,40).

ამ შეჯიბრებაში კარგად გამოვიდა თბილისის განათლების განყოფილების გ. ეგნატაშვილის სახელობის ოლიმპიური რეზერვის ტანვარჯიშის ცენტრალური სკოლის (დირექტორი მ. იმნაძე) აღსაზრდელი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი მალხაზ თათარაძე (მწვრთნელი ო. მიქელაძე). ქართველმა ტანმოვარჯიშემ ტაიკზე ვარჯიშში მეორე ადგილი მოიპოვა.

* * *

სურათზე: მალხაზ თათარაძე. გ. დოლენჯაშვილის ფოტო.



შეუპოვარი ბრძოლები

VI ტურის დაწყებიდან ოთხი საათი იყო გასული, მაგრამ ა. მიხალჩიშინ — თ. გიორგაძის გარდა (იგი ყაიმით დასრულდა 21-ე სვლაზე) ყველა პარტიაში მძაფრი ბრძოლა არ ცხრებოდა. მანამდე მსგავსი რამ ჩემპიონატში არ მომხდარა.

ყურადღების ცენტრში იყო ვეტერანების მ. ტალ — ე. გელერის პარტია. პირველად ისინი შეხვდნენ ერთმანეთს 20 წლის წინათ რიგაში, მაშინ ტალმა გაიმარჯვა. შემდგომ მათი ყოველი პარტია სხვადასხვა რანგის ტურნირში მუდამ მწვავედ მიმდინარეობდა. გამონაკლისი არც დღევანდელი შეხვედრა იყო.

მშვიდობიანი დასაწყისის (ლაზიერის პაიკთა დებიუტი) მიუხედავად, პარტია ძალიან საინტერესოდ წარიმართა.



ასეთი პოზიცია შეიქმნა თეთრების (ტალის) მე-18 სვლის შემდეგ. ზედაპირული შეფასება თეთრების სასარგებლოდაა, მაგრამ გელერმა გონებამახვილი დაცვა მოამზადა. მოულოდნელად მან ითამაშა: 18. ... c5! 19. fe cd!! შეწირვის მთავარი აზრი ამ გაგრძელებაშია. ახლა ორივე მხედარი „დაეკიდა“ და ერთ-ერთი მათგანი შავებმა უნდა დაიბრუნონ. ამ დაძაბულ სიტუაციაში ტალმა მეტოქეს ყაიმი შესთავაზა, მაგრამ გელერმა უარყო საზავო მოლაპარაკება.

20. fg4 de! (თუ 20. ... ლ:a4, მაშინ 21. ე:c8!) 21. კc4! კ:g4 22. ლ:g4 ლ:a4 23. ე:f7!! (მოიძებნა შესახიშნავი დაცვა) 23. ... ე:f7 24. კ:f7+ მფ:f7 25. ლf5+ მფe7 26. ლ:e4+ მფd7 27. ლb7+ მფe6 28. ლe4+ და ყაიმი შუდმივი ქიშით.

ამ მომენტში მაგიდასთან მივიდა კასპაროვი და შეხიშნა, რომ 28. ... კe5 29. ეc6+ მფf7. შემდეგ, მისი აზრით, შავებს მოგება შეეძლოთ. გელერი განაწყენდა, რომ იჩქარა. საბედნიეროდ, კასპაროვის ვარიანტში ყველაფერი სწორი არ იყო. 30. ლf5+! მფg8 (თუ 30. ... კf6. მაშინ 31. ე:f6+! და 31. ლd5+) 31. ლe6+! მფh8 32. ეc8+ ე:c8 33. ლ:c8+ მფh7 34. ლf5+ და თამაში მაინც ყაიმით უნდა დამთავრებულიყო.

თვით კასპაროვმა კლასიკურ პოზიციურ სტილში დაამარცხა კუზმინი და სატურნირო ცხრილში პირველი გამარჯვება ჩაიწერა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჭაბუკ მოჭადრაკეს შეუძლია მოუგოს ლ. პოლუგაევსკის გადადებული პარტია, მას ლიდერებში მოხვედრის კარგი შესაძლებლობა აქვს.

კმაყოფილმა მაყურებელმა ამ პარტიების ავტორები ტაშით დააჯილდოვეს.

ამ საღამოს მაყურებლები თანამემამულე თ. გიორგაძესაც გულშემატკივრობდნენ. იგი ერთ-ერთ ლიდერს, ა. ბელიავსკის ეთამაშებოდა. თბილისელმა დიდოსტატმა არ გააწბილა ქომაგები. მან თავგამოდებული დაცვით, როგორღაც შეუმჩნეველად ხელთ იგდო ინიციატივა. 36-ე სვლაზე ბელიავსკიმ მას ყაიმი შესთავაზა, თამაზმა არ მიიღო იგი, მაგრამ იქვე უზუსტო სვლა გააკეთა და „საზავო პაქტს“ ხელი მოაწერა.

თამაშისთვის გამოყოფილ ხუთ საათში პირველად დამთავრდა ყველა პარტია. ე. სვეშნიკოვ — ლ. პოლუგაევსკის, ბ. გულკო — გ. ტიმოშჩენკოს, ი. დორფმან — ვ. ტუკმაკოვის, ო. რომანიშინ — ს. მაკარიჩევის და ვ. ცეშკოვსკი — ვ. ბაგიროვის შეხვედრებში ყაიმი იქნა ფიქსირებული.

ამ უკანასკნელ პარტიაში ასეთი დიალოგი გაიმართა. გაკეთებული იყო 20 სვლა, რომ მეტოქეებმა ყაიმის ფიქსირება მთხოვეს, თუმცა დაფაზე ყველა ფიგურა იყო. ამ თხოვნით გაკვირვებულს, ბაგიროვმა შემომხედა და მყისვე განმარტა: „გაითვალისწინეთ, რომ ჩემს მეტოქეს ცოტა დრო აქვს, მე — ცოტა ქულები!“ შევხედე ცეშკოვსკის საათს. მართლაც. 12 წუთიდა ჰქონდა დარჩენილი. დავყაბულდი. მსაჯი ბრმად არ უნდა იცავდეს ტურნირის დებულებას, ყველაფერი უნდა მიიღოს მხედველობაში.

თამაშის განუახლებლად დაზავდნენ გელერი და ცეშკოვსკი V ტურიდან გადადებულ პარტიაში.

6 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: მ. ტალი — 4 ქულა, ა. ბელიავსკი, ე. სვეშნიკოვი, ო. რომანიშინი — 3,5-3,5 ქულა და თითო გადადებული პარტია, ჯ. კასპაროვი, ლ. პოლუგაევსკი — 3-3 (1-1). თ. გიორგაძეს 2,5 ქულა და 1 გამოტოვებული პარტია აქვს.

დღეს ტურნირის მონაწილეები ისვენებენ. 11 დეკემბერს, VII ტურში თამაშობენ: ბაგიროვი — ტალი, პოლუგაევსკი — რომანიშინი, ტუმაკოვი — სვეშნიკოვი, რაზუვაევი — ბელიავსკი, გიორგაძე — გულკო, ტიმოშჩენკო — კასპაროვი, კუზმინი — დორფმანი, მაკარიჩევი — ცეშკოვსკი, გელერი — მიხალჩიშინი.

ვ. მიკენასი,
ჩემპიონატის მთავარი მსაჯი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

* * *

სურათებზე: საუბრობენ გ. ტიმოშჩენკო (მარცხნივ) და ე. სვეშნიკოვი; სსრ კავშირის ჩემპიონი ი. დორფმანი (დგას) დაინტერესა ვ. ტუკმაკოვის პოზიციამ.

ს. კილაძის ფოტოები.

ტანვარჯიში

ბრაზილიის ქალაქ სან-პაულოში „იბირაპუერას“ სპორტის სასახლეში დაიწყო მსოფლიოს თასის მესამე გათამაშება სპორტულ ტანვარჯიშში. ასპარეზობაში გამოდიან ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, კანადის, რუმინეთის, სსრ კავშირის, აშშ-ის, ჩეხოსლოვაკიის, იაპონიისა და ბრაზილიის წარმომადგენლები.

შეგახსენებთ, რომ თასების (ლონდონი, 1975 წელი) პირველი მფლობელები იყვნენ საბჭოთა ტანმოვარჯიშეები — როსტოველი ლიუდმილა ტურიშჩევა და ვლადიმირელი ნიკოლოზ ანდრიანოვი. შარშან ესპანეთის ქალაქ ოვიედოში ეს ჯილდოები კვლავ ჩვენს სპორტსმენებს ხვდათ — მარია ფილატოვას (ლენინს.-კუზნეცკი), ანდრიანოვსა და ვლადიმერ მარკელოვს (მოსკოვი).

ახლანდელ შეჯიბრებაზე მ. ფილატოვასთან ერთად საბჭოთა ნაკრების ლიდერებას იცავენ ნატალია შაპოშნიკოვა (დონის როსტოვი), სვეტლანა აგაპოვა (იაროსლავლი) და სათადარიგო მონაწილე ნატალია იურჩენკო (როსტოვი). მათ, ალბათ, მედგარ წინააღმდეგობას გაუწევენ სილვია ჰინდორფი და შტეფი კრეკერი (ორივე — გდრ), ვერა ჩერნა (ჩეხოსლოვაკია), რონდა შვანდტი და კეტი ჯონსონი (ორივე — აშშ).

საბჭოთა ვაჟთა გუნდში გამოდიან ალექსანდრე დიტიატინი (ლენინგრადი), ალექსანდრე ტკაჩოვი (ვორონეჟი) და ედუარდ აზარიანი (ერევანი). მათ გარდა ტანვარჯიშის მოყვარულები იხილავენ ისეთ უძლიერეს ოსტატებს, როგორიც არიან იაპონელი ეიძო კენმოცუ, ამერიკელი კურტ თომასი, უნგრელი ზოლტან მადიარი და სხვ.

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲫᲚᲘᲔᲠ ᲛᲔᲢᲝᲥᲔᲡᲗᲐᲜ

ევროპული ლიგის პირველობის მორიგი მატჩი მაგიდის ჩოგბურთში სსრ კავშირისა და შვეიცის ნაკრებ გუნდებს შორის, რომელიც ხერსონში გაიმართა, საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით დამთავრდა — 4:3.

როგორც ანგარიშიდან ჩანს, ბრძოლა დაძაბულად მიმდინარეობდა. ჩვენს გუნდს პირველი გამარჯვება ვ. შევჩენკომ მოუტანა, როცა ტ. დანიელსონი დაამარცხა — 2:1 (22:21, 9:21, 21:11). შემდეგ უ. კლარსონმა მოუგო მ. კრეერისს — 2:1 (13:21, 21:9, 21:17) და გაათანაბრა ანგარიში. ქალთა შეხვედრაში შვედმა ა. ჰელმანმა სძლია ლ. ბაკუტოვას — 2:1 (17:21, 21:15, 21:13). ვაჟთა წყვილები: კლარსონ — დანიელსონი — შევჩენკო — კრეერისი—0:2 (17:21, 17:21). შერეული წყვილები: კლარსონ — ე. სტრემგოლი — პოპოვა—შევჩენკო—0:2 (17:21, 16:21).

შემდეგ ვ. შევჩენკომ დაამარცხა კარლსონი — 2:0 (21:9, 21:12) და საბჭოთა გუნდს მეოთხე ქულა მოუტანა. დანიელსონ — კრეერისის ბოლო ორთაბრძოლას პრინციპული მნიშვნელობა არ ჰქონდა და იგი შვედი სპორტსმენის გამარჯვებით დამთავრდა — 2:1 (21:20, 18:21, 22:20).

ᲒᲐᲡᲣᲚ ᲗᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲛᲔᲡᲢᲘᲐᲨᲘ,

ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲛᲣᲚᲐᲮᲣᲠᲐᲡ ᲞᲘᲠᲖᲔ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ „ᲙᲚᲓᲘᲡ ᲕᲔᲤᲮᲕᲐᲓ“ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲮᲔᲠᲒᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲙᲚᲣᲑᲘ — „ᲑᲔᲗᲥᲘᲚᲘ“. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲝᲒᲘᲗᲮᲠᲝᲑᲗ ᲛᲔ-2 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ — „ᲑᲐᲪᲘᲪᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐ“.



სურათზე: მიხეილ ხერგიანის სახელობის კლუბი — „ბეთქილი“.

ა. გურასაშვილის ფოტო.

ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის საქმეში დიდი ღვაწლისა და დამსახურებისთვის, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი **გიორგი ნოზრევანის ძე მერკვილაძე** შეტანილია საქართველოს სპორტკომიტეტის საპატიო წიგნში.





გაცოცხლებული ლეგენდა

გახსენება

თბილისელ ჟურნალისტებთან ერთად ჩვენი „კოლხოზნიკიც“ გაუღგა მესტიისკენ მიმავალ აღმართს. ამ სამანქანო გზის შეფასება მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც ძველი უნახავს. მივყვებით ენგურის ნაპირებს, ხეობებში. ჩაკარგულ, მართლაცდა მოქნეული მათრახივით დაკლაკნილ გზას და ჩემი შარშანდელი მგზავრობა მახსენდება. უფრო ზუსტად, გზაში ერთ მესტიელ ახალგაზრდასთან საუბარი:

„ბარში რომ ჩამოვალთ, უკან დასაბრუნებლად, თუ ფრენა იქნება, ხომ კარგი, თუ არა და, ან გამოდარებას უნდა ველოდოთ, ან ვინმე თავზეხელაღებულ შოფერს, რისკს რომ არ ერიდება. აბა, ხუგდიდში როდემდე გინდა იყურყუტო? არ იქნა და საშველი არ დაადგა წუსიერი გზის გაყვანას. ამიტომ არ დადიან სამარშრუტო ავტობუსები მესტიაში“, — სინანულით ამბობდა ჩემი თანამგზავრი.

მაშინ ხაიშადე ჩვეულებრივი გზა იყო. მერე კი დაიწყო ჯაყჯაყი და გულისხვეიქვა, ვიწრო, ოღოროროო გზას ზემოდან კლდეები გადმოჰყურებდა და ნიადაგ ქვათაცვენით გვემუქრებოდა. ქვემოთ ენგური ქუხდა და მძვინვარებდა. ერთი სიტყვით, ხაიშიდან ბუნების სიმშვენიერის საკვლევად არ გვეცალა.

ახლა ჩვენი „კოლხოზნიკი“ საკმაოდ სწრაფად მიიწევს მაღლა მოასფალტებული გზით.

უკანასკნელ ხანს ჟურნალისტები მესტიის ხშირი სტუმრები არიან. ჯერ იყო და სატელევიზიო ანძის აღმართვა და ცისფერი ეკრანის აციმციმება აუწყეს ხალხს, მერე სამანქანო გზის მოწყობა, მშვენიერი კინოთეატრის აგება, მულახელ კომკავშირელთა სანაქებო თაოსნობა — საზოგადოებრივ საწყისებზე სპორტული კომპლექსის აშენება.

და აი, კიდევ ერთი სასიხარულო ამბის მოწმე უნდა გავხდეთ.

ცისფერი მაშხალა

მდინარე მულახურას პირზე ლამის მთელი სვანეთი შეკრებილიყო. ხალხი სულგანაბული იდგა. ზოგი შიშნარევი, ზოგიც გაბრწყინებული თვალებით ფრიალო კლდის თავზე გადმომდგარ ახალგაზრდებს შეჰყურებდა. ქვემოთ მულახურა ბუბუნებდა.

და აი, უცებ ერთ-ერთი ჭაბუკი კლდის ქიმს მოწყდა. გადმოკიდებულ თოკზე დიულფერით სწრაფად დაეშვა. შემდეგ იქ, სადაც მთამსვლელის წერაყინი და თოვლავით თეთრი ნაჭერი იყო აკრული, მკვეთრად დაამუხრუჭა. ის ნაჭერი ჩამოხსნა და... მულახურასა და იქ შეკრებილ ხალხს მიხეილ ხერგიანის სახემ გადმოხედა. კლდეზე გადმოკიდებულმა მთამსვლელმა მაშხალაც ისროლა და იქუხა ტაშმა.

ცისფერმა მაშხალამ მთელ სვანეთს აქცნო მიხეილ ხერგიანის სახელობის ახალგაზრდული კლუბის გახსნა.

ხერგიანის სახემ გადმოხედა. კლდეზე გადმოკიდებულმა მთამსვლელმა მაშხალაც ისროლა და იქუხა ტაშმა.

ცისფერმა მაშხალამ მთელ სვანეთს აქცნო მიხეილ ხერგიანის სახელობის ახალგაზრდული კლუბის გახსნა.

წილად იზიარებდნენ სიხარულსაც და მწუხარებასაც...

ერთი მიხეილ ხერგიანის ხსენებისას იქვე დასძენდნენ — „კლდის ვეფხვიაო“, ან კიდევ — დიდი მიხეილ ხერგიანიო. მეორე მიხეილ ხერგიანის ხსენებისას კი გახსარტავდნენ — უმცროსიო. მაგრამ ეს „დიდი“ და „უმცროსი“ ასაკობრივ სხვაობას როდი გამოხატავდა. პირიქით, „უმცროსი“ მიხეილ ხერგიანი ასაკით უფროსი იყო. მაგრამ, ვიმეორებთ, მასაც დიდებული ალპინისტის სახელი ჰქონდა დაგდებული.

ეს ახალგაზრდული კლუბი კი „კლდის ვეფხვის“ ცნობილი მიხეილ ხერგიანის სახელობისაა.

ახალგაზრდულ კლუბს „ბეთქილი“ დაარქვეს.

ბეთქილი

ვინ იყო ბეთქილი? ბეთქილი იყო პირველი სვანი მთამსვლელი, მუხლმაგარი მონადირე და უიღბლო მიჯნური. ლეგენდა ამბობს ამას.

ერთხელ ბეთქილი სანადიროდ წასულა. მთელი დღე ამაოდ დაეხეტებოდა ტყე-ღრეში. ბოლოს დამაშვრალი უშბის ფრიალოებს მიადგა. ანაზდად კლდეზე გადმომდგარ ნადირობის ქალღმერთს—დალის მოჰკრა თვალი. დალი მშვიდად გადმოჰყურებდა არე-მარეს, თან ოქროსფერ თმას ივარცხნიდა.

მონადირემ და ნადირობის ქალღმერთმა ერთმანეთს მზერა ესროლეს. სწორედ აქედან დაიწყო მათი უიღბლო სიყვარული.

ბეთქილი დალისთან დარჩა. მთელ დუნიაზე უბედნიერესად თვლიდნენ თავს.

ერთ მშვენიერ დღეს დალიმ შეატყო, რომ ბეთქილს სევდა შეჭყროდა, გამოტყდა ბეთქილი — შინ დაბრუნება მინდა, მინდა მოვინახულო მშობლები, ახლობლები, მეზობლები და მერე უკან დაგბრუნდებიო. დალიმ ამ პირობით გაუშვა ბეთქილი.

ბეთქილის დაბრუნება ყველას გაუხარდა — მამაცი მონადირე ხომ დაღუპული ეგონთ. მერე ბეთქილს უამბეს, შენს საძებრად ჩვენი საუკეთესო ვაჟკაცები გამოეშურნენ, მაგრამ ცოცხალი სულ რამდენიმეღა დაბრუნდაო. გადარჩენილებმა თქვეს, უშბის კალთებზე ქარაშოტი და გრიგალი დაგვატყდა თავს, ზოგი უფსკრულში გადაიჩეხა, ზოგიც უგზოუკვლოდ დაკარგულა.

მიხვდა ბეთქილი, მათი დაღუპვა ნადირობის ქალღმერთს ედო ცოდვადო და ჩაიფერფლა გულში დანთებული სიყვარულის ცეცხლი. მერე კი, მერე სხვა შეიყვარა.

ქორწილს იხდიდა ბეთქილი... ანაზდად ჯიხვმა გააპო ბრბო და მაღლა, უშბისკენ გაიჭრა. მას ფეხდაფეხ დაედევნა ბეთქილი...

მას შემდეგ აღარავის უნახავს. ნადირობის ქალღმერთმა, მისმა სატრფომ, დალიმ დაღუპა უშბის კალთებზე.

ეს ლამაზი ლეგენდა ახლა თაობიდან თაობას გადაეცემა. ლეგენდა კი ცოცხლდება, ცოცხლდება მესტიის რაიონის ახალგაზრდულ კლუბში.

ეს ცეცხლი არ უნდა ჩაქრეს

მდინარე მულახურას პირას, მთებში ჩაკრულ ნაძვნარშია აგებული მიხეილ ხერგიანის სახელობის მესტიის ახალგაზრდული კლუბი — „ბეთქილი“.

კლუბი ორსართულიანია. სვანურ სტილში, ფიქალისა და ძელისგანაა ნაგები. პირველი სართულის ოთახს ამშვენებს შუაცეცხლი, მახვშის სავარძელი, სარკვარი, ნიშები... არის პატარა სცენაც.

მეორე სართულზე სვანეთის საუკეთესო სპორტსმენთა სურათებია გამოფენილი. არის ნახატებიც. უმეტესობაზე მიხეილ ხერგიანს ვხედავთ. შენობას იერს მატებს აივანიც, ჯიხვის რქებითა და თავის ფიტულებით დამშვენებული. პროექტის ავტორი, მესტიის რაიონის მთავარი არქიტექტორი, საქართველოს კომკავშირელთა 31-ე ყრილობის დელეგატი ნუგზარ ჩხეტიანი გახლავთ.

სხვათა შორის, სწორედ ნუგზარის პროექტით აშენდა მულახის სპორტული კომპლექსიც.

ვინ არიან „ბეთქილის“ მშენებლობის ინიციატორები? მესტიის რაიონის საბჭოთა მეურნეობის აგროგანყოფილების კომკავშირელები, რომლებსაც დოდო ჯაფარიძე მეთაურობს. ბუნებრივია, მარტო ისინი „ბეთქილის“ მშენებლობაში ვერაფერს გახდებოდნენ, სხვებიც რომ არ ამოსდგომოდნენ მხარში.

სიტყვა თქვეს მაგალითად, მუდლიანმა, აკაკი ნაკანმა, ოდისე ფალიანმა, ხარუმ ხერგიანმა, გერვას გულლდანმა, [illegible] ხსენოთ პიონერებმა — ნანა ნაკანი და რევაზ [illegible] — [illegible] ბებიებსაც მშენებლებთან ერთად ლანჩი და სადილი მიჰქონდათ.

მაინც, რა მიზანს ისახავს მესტიის ახალგაზრდული კლუბი?

— ამ კლუბს გონივრული გამოყენება უნდა, — ამბობს პოეტი რევაზ მარგიანი, — აქ შეიძლება მოეწყოს შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან, საღამოები, ბიბლიოთეკა, მუზეუმი, გალერეა... ერთი სიტყვით „ბეთქილი“ მთელი მესტიის რაიონის კულტურულ ცენტრად უნდა იქცეს.

ჩვენი აზრით, აქ შეიძლება მთამსვლელთა მუზეუმის მოწყობაც. „ბეთქილი“ შეიძლება ერთგვარ ალპურ კლუბადაც გადაიქცეს, მაგრამ, როგორც არ უნდა მოხდეს, აქაურობა მესტიელი და არა მხოლოდ მესტიელი ახალგაზრდების თავშეყრის საყვარელ ადგილად იქცეა.

და მაინც, სიმბოლურია, რომ კლუბი დიდი ალპინისტის სახელობისაა. სიმბოლურია ისიც, რომ კლუბს, ლეგენდის მიხედვით, პირველი სვანი მთამსვლელის სახელი უწოდეს. ისიც სიმბოლურია, კლუბის გახსნა ვეტერან ალპინისტს, სახელგანთქმულ ჭიჭიკო ჩართოლანს რომ მიანდეს. სწორედ ამის შემდეგ იყო, „ბეთქილის“ კარი სტუმართმოყვარულად რომ გაიღო, სწორედ ამის შემდეგ იყო „ბეთქილის“ თაღებქვეშ პირველად რომ გაისმა ომახიანი ლილე, სიმღერა მიხეილ ხერგიანზე, ფერხული...

ოთახში შუაცეცხლი გიზგიზებდა. პარტიის მესტიის რაიკომის პირველმა მდივანმა იოსებ კარტოზიამ, მესტიის რაიონის კომკავშირელთა თავკაცს ბორის კახიანს მოგიზგიზე შუაცეცხლი დაანახვა და უთხრა: „აი, ეს ცეცხლი არ უნდა ჩაქრეს!“

გვჯერა, ასეც იქნება, მით უმეტეს, რომ მესტიელი კომკავშირელები უკვე ახალი ჰორიზონტისკენ იყურებიან. იქ მთამსვლელთა ბანაკი ძოსჩანს.

...უკანასკნელ ხანს ჟურნალისტები მესტიის ხშირი სტუმრები არიან. ჯერ იყო და სატელევიზიო ანძის აღმართვა და ცისფერი ეკრანის აციმციმება აუწყეს ხალხს, მერე სამანქანო გზის მოწყობა...

და აი, მიხეილ ხერგიანის სახელობის ახალგაზრდული კლუბი „ბეთქილიც“... ახალი შთაბეჭდილებები ჯერ კიდევ არ დამცხრალიყო, რომ მეორე დღეს სოფელ ეცერში წაგვიყვანეს. იქაურ კომკავშირელებს საზოგადოებრივ საწყისებზე ახალგაზრდული კლუბი „შეარდა“ აეგოთ.

ა. გურასაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

მესტია.

* * *

სურათებზე: „კლდის ვეფხვი“ — მიხეილ ხერგიანი; კიდევ რამდენიმე წამიც და მდინარე მულახურას პირზე აღმართულ კლდეებზე დიულფერით დაშვებული ახალგაზრდა — ნუგზარ ნიგურიანი თოვლივით თეთრ საბურველს ჩამოხსნის და იქიდან მიხეილ ხერგიანის სახე გადმოგვხედავს; ასე მიდიოდნენ მესტიელები კლუბის გახსნის საზეიმო ცერემონიალზე; მიხეილ ხერგიანის საფლავთან.

ავტორის ფოტოები.



გიორგი მერკვილაძე 80 წლისაა

დაიბადა 1898 წელს. თბილისის ქართული გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მიიღო სამედიცინო განათლება. 1916-1923 წლებში იყო ერთ-ერთი საუკეთესო ტანმოვარჯიშე.

1918 წლიდან მუშაობს მასწავლებლად ჯერ თბილისში, შემდეგ ბათუმში. იქვე ირჩევენ აჭარის ფიზკულტურის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ. 1923 წლიდან ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის კათედრის გამგეა. 1925 წელს ინიშნება ფიზიკური კათედრის უმაღლესი საბჭოს სამეცნიერო-მეთოდური კომიტეტის თავმჯდომარედ. ორი წლის შემდეგ საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურის ცენტრის ბიუროს გამგედ. 1934 წელს უნივერსიტეტის პრორექტორია ფიზიკური მომზადების დარგში. 1935 წელს მუშაობას იწყებს განათლების სახალხო კომისარიატში (სამინისტროში), სადაც დღესაც უძღვება ფიზიკური აღზრდის მეთოდურ კაბინეტს, მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის, საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატისა და საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდებები. დაჯილდოებულია ლენინის, „შრომის წითელი დროშისა“ და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით, მრავალი მედლით...

აგრისა და საქმის კაცი

„საზოგადო სარბიელზე გამოსული კაცი უსათუოდ ან აზრის კაცია, ან საქმისა, ან ორივე ერთად, თუ ის ბედნიერად მომადლებულია ბუნებისაგან, რომ შეძლებელია ერთისაც და მეორისაც“. ბრძენი ილიას ეს სტიყვები შესანიშნავად გამოხატავს გიორგი მერკვილაძის, როგორც საზოგადო მოღვაწის, მთელი ცხოვრების შინაარსს.

აზრისა და საქმის კაცები წინ ეწევიან ცხოვრებას, სხვებს გზასავალს უადვილებენ, ხოლო თავად, როგორც ნამდვილი გმირების ხვედრია, იშვიათად თუ ჩანან. ჩვენი რესპუბლიკის სპორტული მოძრაობის დასაწყისი, შეიძლება თამამად ითქვას, ქუდბედიანი გამოდგა, რადგან იმთავითვე საქმის სიყვარულით გულანთებული ადამიანები იდგნენ მის აკვანთან. იმ შორეული წლებიდან მოყოლებული, გიორგი მერკვილაძე ერთგულ გუშაგად და გზის მაჩვენებლად უდგას მშობლიური ხალხის ფიზიკური აღზრდის დიდ საქმეს. საქართველოს ფიზკულტურულმა მოძრაობამ არ იცის მეორე პიროვნება, რომელსაც ამდენი ეღვაწოს და ამდენი სიკეთე მოეტანოს საერთო საქმისთვის. გიორგი მერკვილაძემ-ექვსი ათეული წელი შეალია მშობელი ხალხის სიჯანსაღისთვის ზრუნვის სამსახურს. ეს კი ჩვენში ფიზკულტურული მოძრაობის მთელი ეპოქაა. და, როდესაც საამაყოა ყოველი ჩვენგანისთვის, რომ ამ ეპოქის ერთ-ერთი ფუძემდებელი და უპირველესი მემატიანე დღესაც ჩვენს გვერდითაა, ჩვენთან ერთად ხარობს, სატკივარსაც ერთად ვებრძვით და ხვალინდელ წარმატებებზეც ერთად ვოცნებობთ.

გაუკვალავი გზით სიარულის სიმართლე იმათ ყველაზე უკეთ უწყიან, ვინც ერთხელ მაინც სცადა ამ გზით გავლა. ფიზიკურად და გონებრივად მოუმზადებელი კაცი უეხშეუდგამი მწვერვალისკენ მიმავალ ბილიკს ეგრე იოლად ვერ დაადგება. გიორგი მერკვილაძე კი ერთთავად ამ რთულ გზაზე დაადგებს. ერთხელაც არ უცდია გაგზე გადამდგარიყო, ანდა ჩაემუხლა. მოაქვს თავისი წილხვედრი ტვირთი გზაზე, რომელიც ისევე უსასრულოა, როგორც ჰარმონიული სრულყოფისკენ ადამიანის სწრაფვა.

ბატონი გიორგის მდიდარ და მრავალფეროვან მოღვაწეობაში მუდამ გამოკვეთილად მოჩანს ახლის ძიება. სწორედ ეს კვებავდა და აფურთოებდა ქართული სპორტის მეწყვეთათა საზღვრებს. ნოვატორიც იყო და რეფორმატორიც. გაბედული, თუმცა კი მუდამ საგულდაგულოდ აწონილ-დაწონილი აზრი დაუყოვნებლივ, სათუთი ნერვივით გადაჭქონდა საქმეში. 20-იანი წლების ქართული სპორტული ჟურნალ-გაზეთები (ბატონ გიორგის მათ შექმნაშიც მიუძღვის წვლილი) შთამომავლობას სამუდამოდ შემოუნახავს იმ განცდებსა და სურნელებას, რაც თან ახლდა საქართველოში ფიზკულტურული მოძრაობის პირველ პერიოდს. გიორგი მერკვილაძემ პრესის ფურცლებზე საზოგადოებრიობის ყურადღება იმთავითვე მიაპყრო სპორტის ეროვნული სახეობების აღორძინებას და ამის შემდეგ საერთაშორისო სახეობებისთვის ნიადაგის მომზადებას, ქართული სპორტული ტერმინოლოგიის შექმნის აუცილებლობას, კადრების აღზრდას... მერე და მერე ახალი მიზნები და ახალი ამოცანები გამოდიოდა წინა პლანზე. მისი უშუალო მონაწილეობით თბილისში ყალიბდება ფიზკულტურის სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტები. 1934 წელს გიორგი მერკვილაძე თბილისში ბავშვთა სპორტულ სკოლას ხსნის და... მიგნებულია მოზარდი თაობის სპორტულ დაოსტატების სრულიად ორიგინალური ფორმა. რამდენიმე თვის შემდეგ თბილისელთა ეს სიახლე ერთბაშად ვრცელდება მთელს საბჭოთა კავშირში. ძიება კი გრძელდება. ბავშვთა სპორტსკოლა ჯერ კიდევ არ არის მოზარდთა სპორტის დაწინაურების საბოლოოდ სრულქმნილი ფორმა. გადაიდგა ახალი ნაბიჯი — მერკვილაძის თაოსნობით თბილისში მუშაობას იწყებს სპორტული სკოლის ტიპის სკოლა (35-ე სკოლა), რაც შემდეგ საფუძვლად დაედო მთელ საბჭოთა კავშირში სპორტული სკოლების შექმნას.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაშიც მისი ხელმძღვანელობით ინერგება კლასგარეშე ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა. შემუშავდა და ძალაში შევიდა მოსწავლეთა სპორტული ღონისძიებების სტაბილური კალენდარი, რომელმაც გაამარტივა ბევრი წვრილმანი და გაუგებრობა გამოიცხა ორგანიზაციულ მუშაობაში. უკვე 1936 წელს მოზარდთა საკავშირო რეკორდების სიაში საქართველოს 26 წარმომადგენლის გვარი იყო შეტანილი. ასე დაიძებნა და დაჩქარდა მოზარდთან მისასვლელი გზა, რომელმაც თავის მხრივ სრულყო და განმტკიცა მოზარდთა ფიზკულტურული მოძრაობა, საიმედო რეზერვი შეუქმნა საზოგადოდ ქართულ სპორტს. ყმაწვილს, თუ კი მასში ნიჭს დაინახავდა, უთუოდ ხელს შეაშველებდა, ყველაფერს იღონებდა, ოღონდ ნიჭიერი ახალგაზრდა დიდი სპორტისკენ მიმავალ გზას არ ასცდენოდა. მაგალითი თუა საჭირო, თუნდაც ოთარ ჭორქიას, ნიკიტა სიმონიანის, ნიაზ ძიაპშიპას, ტიგრან პეტროსიანის პირველი ნაბიჯებიც კმარა გასახსენებლად.

ახალგაზრდობაში გიორგი მერკვილაძე გატაცებით ეუფლებოდა მედიცინას, ფილოსოფიას, მათემატიკას, პედაგოგიკას, ჟურნალისტიკას. ყველაფერი, რაც შეისწავლა და შეითვისა, უნარიანად ჩააყენა ერთი საქმის სამსახურში. გიორგი მერკვილაძის დიდი დამსახურებაა ისიც, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ათეული წლების წინათ ჩაეყარა საფუძველი სამკურნალო ფიზკულტურისა და საწარმოო ტანვარჯიშის მშრომელთა საკეთილდღეოდ გამოყენებას. პირველ ყოვლისა საკუთარი თავისადმი მომთხოვნი, იმთავითვე მეტს იღებდა მსხვერპლად. ვიდრე ეს ჩვეულებრივ ადამიანს საზოგადო საქმის საკეთილდღეოდ შეუძლია. ყველაფერში გულს სდებდა და ამიტომაც სხვაზე უკეთ შეეძლო ეწინამძღვრა, შეეფასებინა დღევანდელი და განეჭვრიტა ხვალინდელი.

მართალია, ბატონი გიორგი თავადაა მრავალი სიახლის ფუძემდებელი და პრაქტიკულად აღმსრულებელი, მაგრამ თუკი რაიმე მოძველდა და დრო მოჭამა, ყველაზე ადრე. თავად უარყოფს. ოღონდ ფრთხილად, ისე, რომ ზედ თუნდაც მცირეოდენი კარგიც არ მიაყოლოს. ცხადია, შედარებით ადვილია ძველის მოშლა და თავიდან მოცილება. მთავარი მაინც ახლით, უფრო პროგრესულით შეცვლაა და ბატონი გიორგიც ფიქრობს, ეძებს, ყველაფერს კარგად და გულდასმით მთელი სიგრძე-სიგანით განსჯის და თითქოს აგური დადო აგურზეო, ისე მოარგებს და მიუსადაგებს ერმანეთს იმ ძველიდან დარჩენილ კარგსა და სრულიად ახალს. სიახლეს, მიუჩვეველს ბევრი ეჭვის თვალით უყურებს ხოლმე. შორიდან მოქირქილენი არც მის საქმეს დაჰკლებია, მაგრამ ეს დინჯი, ტკბილმოუბარი, ლოგიკურად მოაზროვნე კაცი ასეთ დროს ბევრ მტკიცებას არ მოჰყვება. ყველაზე პირუთვნელი მსაჯული დროა და პასუხსაც ის აძლევს ოპონენტებს. საზოგადოებრიობამ კი ზედმიწევნით კარგად იცის ამ ამაგდარი კაცის ფასი. საქართველოში სპეციალური ლიტერატურა არ გამოიცემა, სამეცნიერო საბჭოს სხდომა არ შედგება და მეცნიერის მანტიას ვერავინ წამოისხამს, მასობრივი ღონისძიება არ დაიგეგმება, რომ გიორგი მერკვილაძეს აზრს არ დაეკითხონ. მისი ხელმძღვანელობითაა რედაქტირებული რუსულ-ქართული ლექსიკონის სამტომეულისა და ქართული სიტყვის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულის სპორტული ტერმინოლოგია. მისმა გამოკვლევამ — „ფიზიკური აღზრდის სისტემა რუსთაველის ეპოქის საქართველოში“ ჯერ კიდევ 1938 წელს სპეციალური ჟილდო დაიმსახურა, როგორც საუკეთესო ნაშრომმა. მრავალმხრივი განსწავლულებისა და კომპეტენტურობის წყალობით იმთავითვე მთავარსა და მნიშვნელოვანს მიაპყრო ხალხის გულისყური, გააფართოა და გააღრმავა საზოგადოებრივი აზრის თვალსაწიერი. საქმისადმი მისეული დამოკიდებულება და შრომის კულტურა მისაბაძ მაგალითად მიაჩნდა და მიაჩნია ყველას, ვინც მასთან მუშაობდა ან მუშაობს. და სრულიად ბუნებრივია ისიც, რომ ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურული და სპორტული საზოგადოებრიობა გიორგი მერკვილაძეს თაობათა ჰეშმარიტ მასწავლებლად მიიჩნევს.

ჩვენ ხალხს ოდითგანვე წესად აქვს: ღირსეულად დაფასოს უანგარო მამულიშვილთა ნაღვაწ-ნაამაგარი და სამაგალითოდ შემოუნახოს იგი შთამომავლობას. დღეს თქვენი ღვაწლით გულგახარებული და დიდად მადლიერი საზოგადოებრიობა გლოცავთ და გულით გეუბნებათ ბატონო გიორგი: კვლავაც დიდხანს, დიდხანს „იარეთ თქვენი კაცობით, თქვენი პატიოსნებით და... თქვენი ქუდით!“

თ. ბაჩეჩილაძე,
„მართვეს“ რედაქტორის მოადგილე.

„უყურადღებოდ მიტოვებული სპორტული მოედნები“

●

ფიზკულტურა და სპორტი რაიონული პრესის ფურცლებზე

ბოლანასკენელ პერიოდში, განსაკუთრებით კი რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის კრების შემდეგ, ცალსახლივ შეინიშნება, რომ ... ოლქობრივი პარტიული, საბჭოთა სამეურნეო და ფიზკულტურული ორგანიზაციები მეტ ყურადღებას უმობენ მოსახლეობის კულტურულ-სპორტულ საქმიანობაში ჩაბმის, სპორტული ბაზების ქსელის გაფართოების საკითხებს. რა თქმა უნდა, ნაკლოვანებანი ჯერ კიდევ ბევრია, მაგრამ ფაქტი, რომ ფიზიკური კულტურა და სპორტის მასობრივად დანერგვა ხელმძღვანელი ორგანოების ყოველდღიური ზრუნვის საგანი გახდა, თავისთავად მრავალსმეტყველია. სასიამოვნოა ისიც, რომ ამ საკითხების გადასაწყვეტად თავის სიტყვას ამბობენ რაიონული გაზეთები.

ამას წინათ დმანისის გაზეთ „თრიალეთში“ სათაურით „უყურადღებოდ მიტოვებული სპორტული მოედნები“, გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი, სადაც ნათქვამია, რომ „რაიონის სპორტული მოედნები და ბაზები არც ისე სახარბიელოდ გამოიყურება. კერძოდ, დიდი დმანისის საშუალო სკოლის სპორტული დარბაზი მხოლოდ სახელით ამართლებს თავის დანიშნულებას, პრაქტიკულად კი... სიძველის გამო გამოუყენებელია და დღეისათვის სამშენებლო მასალების საწყობადაა გადაქცეული... სკოლას ადრე მცირე ზომის ფეხბურთის მოედანიც ჰქონდა, მაგრამ იქ ვარდისუბნის საბჭოთა მეურნეობის დირექციამ საბავშვო ბაღის მშენებლობა დაიწყო და სკოლის ნორჩ ფეხბურთელებს თამაშის შესაძლებლობა მოესპოთ. სახარბიელო მდგომარეობაში არც მძლეოსნური სექტორი და ფრენბურთის მოედანია.

საჭიროა დაუყოვნებელი ღონისძიებების გატარება, რათა სკოლის სპორტული მოედნები მოსწავლეებმა დანიშნულებისამებრ გამოიყენონ“.

რედაქციისაგან: ვიმედოვნებთ, რომ დმანისის რაიონის შესაბამისი ორგანიზაციები უყურადღებოდ არ დატოვებენ გაზეთის სამართლიან კრიტიკას და ადგილებზე სპორტული ბაზების ქსელისა და მოვლა-პატრონობისთვის სათანადოდ იზრუნებენ.

ძალებიც ბიბლიოთეკა მოსინჯვით

„თეთრი ოლიმპიადის“ წინა სეზონში მსოფლიოს საუკეთესო ტრასებზე უკვე გაჩაღდა სხვადასხვა რახგის შეჯიბრებები, რომელთა მიზანია მომავალი XIII ოლიმპიადისთვის ძალების გამოცდა.

იტალიის სამთო კურორტ ბორმიოსა და ავსტრიაში (ფულმპეს მიდამოებში), ხოლო შემდეგ, სან ვირჯინიო დი მარებეს (იტალია) ტრასებზე გაიმართა სამთო-მოთხილამურეთა ტურნირი, რომელიც წინ უსწრებდა „პირველი თოვლის კრიტერიუმს“. პირველმა სტარტებმა იტალიელი ქალების უპირატესობით ჩაიარა.

ბორმიოში ვაჟების სპეციალურ სლალომში თუ მსოფლიო თასების სამგზის მფლობელმა ი. სტენმარკმა (შვეცია) იმარჯვა — 1.50,87, ქალებში ორივე წინა ადგილი იტალიელებს მ.-რ. კუარიოსა — 1.31,29 და კ. ჯორდანეს (1.33,16) ერგოთ.

მერე სტენმარკმა ფულმპეს მიდამოებში გამართული გიგანტური სლალომიც მოიგო. ორი ცდის ჯამში მან აქ 2 წუთი და 5,35 წამი დახარჯა. ქალებში კი ყველას მ. კაზერერმა (ავსტრია) აჯობა.

დი მარებეს ტრასაზე გაიმართა პარალელურ სლალომში შეჯიბრება. ვაჟთა შორის I და II ადგილები ავსტრიელებს ლ. სტოკსა და კ. ჰაიდეგერს ხვდათ წილად, ქალებში ვ ჰეტმ და მ. კუარიომ (ორივე — იტალია) სძლია ყველას.

მაშინ, როცა ალპებში სამთო-მოთხილამურეები ცდიდნენ ძალას, შვეიცარიაში (სტუა ბლოშენის მიდამოებში) გამართულ ბიატლონისტთა საერთაშორისო ტურნირში ვაჟთა შორის გდრ-ის სპორტსმენებმა სამივე პირველი ადგილი დაისაკუთრეს. უძლიერესი გახლდათ ფ. ულრიხი — 1:15.29. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ მ. ზიბერტი და ჰ. რიოში.

იუნიორთა შორის 15 კილომეტრზე რბენა მოიგო ს. ვიკბერგმა (შვეცია) — 59 წუთი.

სარბიელზეა მეორეკლასელი მოსწავლე

ამას წინათ თბილისში გაიმართა აკრობატიკისა და მხატვრული ტანვარჯიშის სპეციალიზებული სკოლის პირველობა. სპორტის მოყვარულთა ყურადღება მიიპყრო ნორჩმა სპორტსმენმა — თბილისის 33-ე საშუალო სკოლის მეორე კლასის მოსწავლემ ჟენია შირინკინამ, რომელმაც სპეციალისტთა კარგი შეფასება და მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა.

● ● ●

სურათზე: ჟ. შირინკინა ახპარეზობისას.

ვ. ბუკინის ფოტო.

საქართველოს სპორტკომიტეტში

გაიმართა საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგიის მორიგი სხდომა, რომელშიც მოისმინა მთელი რიგი საკითხები.

კოლეგიამ იმსჯელა ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობაში რესპუბლიკის ნაკრები გუნდის სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის მზადების შესახებ და აღნიშნა, რომ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა სპორტკომიტეტებმა დღემდე სათანადო კონტროლი ვერ დააწესეს მწვრთნელების საქმიანობაზე. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მუშაობა ქალთა ეკიპაჟის შერჩევა-მომზადებისთვის.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის, ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა მწვრთნელები დღემდე არ გადასულან სასწავლო-საწვრთნო პროცესის ახალ რეჟიმზე, საშველი არ დაადგა სპეცკლასების შექმნის საკითხის დადებითად გადაწყვეტას.

რიგ სპორტსაზოგადოებებში („დინამო“, „ვოდნიკი“, „შრომითი რეზერვები“) ხელსაყრელი პირობების მიუხედავად რესპუბლიკის ნაკრები გუნდებისთვის რეზერვების მომზადება ერთობ დაბალ დონეზეა.

სოხუმში, მცხეთაში, ქუთაისში და რუსთავში მოუვლელია „დინამოს“, „განთიადის“, „შრომითი რეზერვების“, „კოლმეურნის“ ბაზები. სულ უფრო და უფრო მცირდება ნიჩბოსნობაში მომეცადინეთა რაოდენობა. „ვოდნიკმა“, რომელმაც უნდა მომამზადოს, მაღალი კლასის ნიჩბოსნები, სოხუმში ჯგუფი დახურა.

კოლეგიამ ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსანთა ნაკრები გუნდის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის მზადების მიმდინარეობა არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია და დასახა ღონისძიებები ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

* * *

კოლეგიამ განიხილა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის კრების გადაწყვეტილების შესაბამისად წითელწყაროს რაიონში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტულ-მასობრივი მუშაობის მდგომარეობა.

წითელწყაროს რაიონში ერთგვარად გაუმჯობესდა ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა. სრულდება ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების ძირითადი მაჩვენებლების გეგმა-ვალდებულება. ნაკრებმა გუნდებმა წარმატებებს მიაღწიეს სხვადასხვა მასშტაბის შეჯიბრებებში. ამასთანავე რაიონის ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობაში შეიმჩნევა არსებითი ნაკლოვანებები. სათანადო ყურადღება არ ექცევა სოფლის მშრომელთა ფართოდ ჩაბმას ფიზკულტურასა და სპორტში. რაიონის სპორტკომიტეტის უკონტროლობის შედეგად არბომიკის, ქვემო ქედის კოლმეურნეობების, წითელწყაროს ავტოსატრანსპორტო კანტორისა და ციხის ქარხნის, არხილოსკალოსა და ქვემო ქედის საშუალო სკოლების ფიზკულტურულ კოლექტივებში გამაჯანსაღებელი და მასობრივ-სპორტული მუშაობა თვითდინებაზეა მიმეცებული, არადამაკმაყოფილებელია მშდ კომპლექსის დანერგვის ორგანიზაცია. იშვიათად, სტიქიურად ტარდება სპორტული და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები.

რაიონში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტულ-მასობრივ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისა და ორგანიზაციებისადმი სუსტი ხელმძღვანელობისთვის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს გ. ყოჩიაშვილს მიეცა შენიშვნა.

ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების საბჭოებს და სპორტკომიტეტის შესაბამის სამმართველოს დაევალათ მეტი კონტროლი და პრაქტიკული დახმარება გაუწიონ ამ-რაიონის ორგანიზაციებს.

* * *

კოლეგიამ იმსჯელა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საშუალო სპეციალურ-სასწავლებელში ფიზკულტურულ-სპორტული და სასწავლო მუშაობის მდგომარეობის დონეზე. ბოლო წლებში სოფლის მეურნეობის საშუალო-სპეციალურ სასწავლებლებში შეიმჩნევა ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი, სპორტულ-მასობრივი და სასწავლო მუშაობის დაქვეითება. იგი სათანადო სიმაღლეზე არ დგას ცხინვალის, დიდი ჯიხაიშის, მცხეთის, წინამძღვრიანთ კარის, ბაკურციხის, თელავისა და ამბროლაურის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებში.

კოლეგიამ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სთხოვა ქმედითი დახმარება გაუწიოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებს ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

კოლეგიის სხდომამ მოისმინა თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში მშდ კომპლექსის, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტულ-მასობრივი მუშაობის მდგომარეობის საკითხი. აღინიშნა მისი დაბალი დონე — ქარხანაში 2000-ზე მეტი ახალგაზრდა მუშა-მოსამსახურეა, ფიზკულტურასა და სპორტში კი გაერთიანებულია მხოლოდ 20 პროცენტი. ქარხანაში შექმნილია მარტო 3 სპორტული სექცია (ფეხბურთი, ჭადრაკი, შაში), სათანადო ყურადღება არ ეთმობა საწარმოო ტანვარჯიშის ჩატარებას. ქარხნის სამი 25-მეტრიანი ტირი გამოუყენებელია.

„ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოს დაევალა გააძლიეროს კონტროლი და პრაქტიკული დახმარება აღნიშნული კოლექტივისადმი.

* * *

კოლეგიამ იმსჯელა, აგრეთვე, საქართველოს ფრენბურთელთა ნაკრები გუნდის სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის მზადებისა და გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე მშდ მრავალჭიდში რესპუბლიკური პირველობისა და საქართველოს ნაკრები გუნდის საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობის შედეგებზე.

კოლეგიამ სპორტკომიტეტის მთავარ მწვრთნელად ზამთრის სახეობებში დაამტკიცა **ვ. ნ. თიბილოვი.**



ხელბურთელ ვაჟთა XII საერთაშორისო ტურნირი „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე



ბოლოსწინა ფური

ბუშინ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა ხელბურთში გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე XII საერთაშორისო ტურნირის ბოლოსწინა ტური.

სსრ კავშირის ახლგაზრდული ნაკრები — იუგოსლავია — 20:32 (9:12).

სსრ კავშირი — ჩეხოსლოვაკია — 22:22 (15:10).

დღეს შედგება გათამაშების უკანასკნელი სამი შეხვედრა: ჩეხოსლოვაკია — რუმინეთი, იუგოსლავია — სსრ კავშირი, საქართველო — სსრ კავშირის ახლგაზრდული ნაკრები.

სურათზე: შეტევაზეა გ. ნარიმანიძე.

ე. ხუცურაულის ფოტო.

ხელბურთი

ბრატისლავაში ხელბურთელ ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში საბჭოთა ნაკრებმა ანგარიშით 15:11 (10:5) სძლია იუგოსლავიის გუნდს და გდრ-ის ნაკრებთან ერთად ლიდერობს ჩემპიონატს — 6 ქულა თითოეულს.

კალათბურთი

იტალიელები ფიშობენ

ახლახან დაიწყო კალათბურთელ ვაჟთა გუნდების იტალიის ჩემპიონატი. პირველი, რაც თვალში მრგზვდებათ ის არის, რომ ასპარეზობაში არ მონაწილეობენ ცნობილი კოლექტივები — „მობილჯირჯი“ და „ჩინზანი“. რა მოხდა? უჩვეულო არაფერი, უბრალოდ კლუბებმა გამოიცვალეს მეპატრონეები და შესაბამისად, სახელებიც „მობილჯირჯი“ ამიერიდან „ემერსონის“ სახელით გამოვა (ტელევიზორების შემკეთებელი ცნობილი ფირმა), „ჩინზანი“ — „ბილის“ (სპირტის მწარმოებელი ფირმა), „ალტეა“ — „არიგონისა“ და ა. შ. კალათბურთელთა გუნდების ელიტის „ა“ პირველი ჯგუფის 14 მონაწილიდან 6 კოლექტივი ახალი სახელით მოინათლა.

იტალიური კალათბურთი არასოდეს განიცდიდა უცხოელი ვარსკვლავების ნაკლებობას. ახალ სპორტულ სეზონში გუნდების რიგები კიდევ უფრო შეივსო. როგორც იტალიური პრესა იუწყება, მარშან აქ 18 ამერიკელი თამაშობდა. წლეულს მათ კიდევ 8 დაემატა. მონრეალის ოლიმპიადის შემდეგ იტალიაში ჩავიდა იუგოსლავიის უძლიერესი კალათბურთელი, ევროპის ორგზის ჩემპიონი დამირ შოლმანი (1948 წ. 200 სმ). იგი ვიჯევანოს „მაკაპის“ შემადგენლობაში ჩაირიცხა. ახლა მას შეუერთდა სახელგანთქმული კ. ჩოსიჩიც. იგი ბოლონიის „სინუდინეში“ თამაშობს.

ანალოგიური მდგომარეობაა „ა“ მეორე ჯგუფშიც. აქ გუნდების უმრავლესობას შენარჩუნებული აქვს წინანდელი სახელწოდება. 28 ამერიკელი კალათბურთელიდან უნდა დავასახელოთ აშშ-ის ნაკრები გუნდის წევრი ჯონ შეტერი და ყოფილი პროფესიონალი მეილ დევისი. სპეციალისტები 56 უცხოელ კალათბურთელს ითვლიან, რომელთაც თავისუფლად შეუძლიათ ორი ძლიერი ნაკრების შედგენა. ამიტომ სავსებით სამართლიანია იტალიის პრესის შიში, რომ იმპორტის ესოდენი ზრდა, სამაგალო კალათბურთის განვითარების შემფერხებელია.

ვ. კალანდაძე.

ჩემპიონატები, ბურთები, ციფრები

ინგლისი

XVII ტურში ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ უძლეველი „ნოტინჰემ ფორესტი“ ბოლოს და ბოლოს დამარცხდებოდა: „ბოლტონ უონდერერსი“ შინ გამუდმებით უტევდა ჩემპიონს. ბრწყინვალედ ითამაშა „ნოტინჰემის“ მეკარე შოლტონმა, რომელმაც რამდენიმე უძნელესი ბურთი აიღო. ამასობაში სტუმრების ერთი იშვიათი კონტრშეტევა 67-ე წუთზე რობერტსონის გოლით დაგვირგვინდა და „ნოტინჰემმა“ გაიმარჯვა — 1:0. 42 ალენდარული მატჩი წაუგებლად — ასეთია „ნოტინჰემის“ შედეგი. არგენტინელი ტარანტინის მიერ გატანილმა გოლმა „ბირმინჰემს“ ფრე მოუტანა (1:1) „ბრისტოლ-სიტისთან“ და დაატოვებინა ბოლო ადგილი, სადაც ახლა „ჩელსიმ“ გადაინაცვლა.

ტურის სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „ჩელსი“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“ 0:1, „კოვენტრი სიტი“ — „არსენალი“ 1:1, „დერბი ქაუნთი“ — „ქუინზ პარკ რეინჯერსი“ 2:1, „ლიდს იუნაიტედი“ — „საუთჰემპტონი“ 4:0, „ლივერპული“ — „მიდლსბრო“ 2:0, „მანჩესტერ სიტი“ — „იფსვიჩ თაუნი“ 1:2, „ნორვიჩ სიტი“ — „ევერტონი“ 0:1, „ტოტენჰემ ჰოტსპური“ — „ვულვერჰემპტონ უონდერერსი“ 1:0, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ — „ასტონ ვილა“ 1:1.

17 ტურის შემდეგ 29 ქულით კვლავინდებურად I ადგილზეა „ლივერპული“. 27 ქულა აქვს „ევერტონს“, 23-23 ქულა და თითო გამოტოვებული მატჩი — „ვესტ ბრომვიჩ ალბიონსა“ და „ნოტინჰემ ფორესტს“.

ფეხბურთი

ავსტრია

ჩემპიონი და ლიდერი „აუსტრია“ სულ უფრო უკან იტოვებს „რაპიდს“. XV ტურში ჩემპიონმა შინ დამაჯერებლად სძლია „სვაროვსკი-ვაკერს“ (ინსბრუკი) — 3:0, „რაპიდი“ კი სტუმრად თამაშობდა ლინცში ვოესტ-თან და ქულა დაკარგა — 0:0.

15 ტურის შემდეგ „აუსტრიას“ 23 ქულა აქვს, „რაპიდს“ — 19, ვოესტ-ს — 17.

პირველი ალბომი

ამირან ერაძე! ეს სახელი კარგად არის ცნობილი „კომუნისტის“, „თბილისის“, „დროშისა“ და „ნიანგის“ მკითხველთათვის. იუმორისტული ნახატები, მეტწილად უსიტყვო, უკვე ორი ათეული წელიწადია პერიოდულად ჩნდება ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე.

ახალგაზრდა მხატვარი დროდადრო „ლელოსაც“ ეწვევა ხოლმე და თავისი უსიტყვო კარიკატურებისა არ იყოს, ასევე უსიტყვოდ დაგვიწყობს სარედაქციო მაგიდაზე თავის ახალ ნახელავს. ისინი ლაკონურობით, შტრიხების სიძუნწით, მაგრამ, რაც მთავარია, იუმორით გამოირჩევა.

ახლახან გამომცემლობა „ხელოვნებამ“ გამოუშვა ა. ერაძის იუმორისტული ნახატების პირველი ალბომი „მხიარული ფანქარი“. საინტერესოა, რომ მასში მოთავსებული სურათებიდან მესამედზე მეტი სპორტულ თემას ეძღვნება.

ა. ერაძის ეს სამი ნამუშევარიც აღებულია ალბომიდან „მხიარული ფანქარი“.

„ლელო“

ბუშინ მოსკოვში მოეწყო „სპორტლოტოს“ მორიგი, 49-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო“ 6—49-დან:

პირველი: 24 (თხილამურები), 25 (ტრამპლინიდან ხტომა), 31 (ცურვა), 34 (ხელბურთი), 36 (სლალომი), 48 (ჭადრაკი). შეღავათიანი ბურთულა — 6 (კალათბურთი).

მეორე: 4 (მთამსვლელობა), 12 (წყალსამოტორო სპორტი), 19 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 21 (საცხენოსნო სპორტი), 28 (მაგიდის ჩოგბურთი), 31 (ცურვა). შეღავათიანი ბურთულა — 27 (მოტოსპორტი).

„სპორტლოტო“ 5—36-დან:

პირველი: 4 (კრივი), 13 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 20 (ტრამპლინიდან ხტომა), 25 (საცეკვაო სპორტი), 35 (ბალახის ჰოკეი).

მეორე: 2 (ბიატლონი), 7 (ველოტრეკი), 13 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 21 (აფროსნობა), 35 (ბალახის ჰოკეი).

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის უოველდღე, გარდა ორშაბათისა და კვირასა. რედაქციის მისამართი: 380018, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: **რედაქტორი** — 99-68-14; 93-97-50; **რედაქტორის მოადგილე** — 99 68-47; **პასუხისმგებელი მდივანი** — 93 97 52; **განყოფილებები:** ფიზბურთის — 99-81-71, 93 97-56; **მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის** — 93-97-55; **სპორტის პროპაგანდის** — 93-97-61; **ზოგადი და სოციალ. აღზრდისა** — 93 97 53; **ჭადრაკი** — 93 97-26, **სამმართველო** — 93-97-52; **წერილების** — 93-97-54; **კორექტორები** — 93 97-49; **გამომძიებელი** — 93 93 81; **ფოტოლაბორატორია** — 93 97-58; **მეშანქანეები** — 93-97-57

ИНДЕКС 66435 — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. — УЭ 02327